4043/3-56/21 2 28042021

4043/3-56/21
28-04-2021

საქართველოს მთავრობას

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 2021 წლის 26 აპრილს მთავრობის სხდომაზე საქართველოს რეგიონებისთვის „ქვეყნის მასშტაბური განახლების“ პროგრამა წარადგინა, რომელიც 63 მუნიციპალიტეტში გულისხმობს ურბანულ განახლებას, მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის ობიექტების რეაბილიტაციას, მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრების რეაბილიტაციას, ასევე რეკრეაციული სივრცეების მოწყობას, რეკრეაციულ პარკებში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას, ყველა მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ობიექტების რეაბილიტაციასა და მშენებლობას, ასევე ყველა ქალაქის, ყველა მუნიციპალიტეტის კურორტებისა და დასახლებების ურბანულ განახლებას. ასევე პროგრამის ფარგლებში შეიქმნება ახალი დასასვენებელი, ტურისტული და საზოგადოებრივი ზონები“. ინიციატივის ფარგლებში დაახლოებით 15 000 ადამიანი დასაქმდება და მისი პირველი ფაზა მთავრობას 500 მილიონი ლარი დაუჯდება.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, ამავე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში მომაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია:

ა) ინიციატივის ფარგლებში გამოყოფილი თანხის 500 მილიონი ლარის დაფინანსების წყარო და დაფინანსების ვადა (ხანგრძლივობა);

ბ) არის თუ არა აღნიშნული თანხა გათვალისწინებული მიმდინარე წლის ბიუჯეტში;

გ) როდის იგეგმება „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანა;

დ) რომელ რეგიონებში არის გათვალისწინებული ახალი მიზიდულობის ცენტრების შექმნა;

ე) ითვალისწინებს თუ არა აღნიშნული არსებული დაფინანსება ბიუჯეტის დეფიციტის ზრდას;

ვ) განიხილებოდა თუ არა აღნიშნული ფინანსური რესურსების ალტერნატიული გამოყენება (სოციალური მხარდაჭერის ღონისძიებების დაფინანსება).

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ბექა ლილუაშვილი